ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N97

ქ. თბილისი

22 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, **შპს „ჰორეკა"** წარმოდგენილი მისი დირქტორის ბორის თოფურიას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი'' ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:
"

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის ეტაპობრივ შესყიდვას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1 927 (ათას ცხრაასოცდაშვიდი) ლარი**, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ერთეულის ფასები მოცემულია, წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მიმწოდებლის მიერ მიწოდებულმა საქონლის ღირებულებამ არ მიაღწია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების თანხას, მიმწოდებელს არ წარმოეშობა დარჩენილ თანხაზე მოთხოვნის უფლება და შემსყიდველი არ არის ვალდებული მოახდინოს აღნიშნული თანხის ანაზღაურება მიმწოდებლისათვის, ან ამ თანხის სხვაგვარად გახარჯვა საქონლის შეკვეთის მიზნით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედდებულისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წამრმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედდებულით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი – მაია კუჭაშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის N16.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება პერიოდულად 2016 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის გაკეთებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 15 იანვრამდე.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
9.2.1. მოქმედების ვადის გასვლა;
9.2.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
9.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველის მიერ შესყიდული საქონლის თანხა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდება ავტომატურად.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს"

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0110121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს „ჰორეკა"
მის: ქ. თბილისი, აბო თბილელის ქ. #10
ს/კ 204557452
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE31TB1835536020100003

დირექტორი
ბორის თოფურია

დანართი N 1

№	საქონლის დასახელება	CPV	რაო-ბა	ერთ. ღირ - ბა	ყუთის ღირ-ბა
1	პირსახოცი ედვანსი 2 ფენა *136 ცალი	33700000	210	5,50	1155,00
2	დაჭრილი ცალობრივი ტუალეტის ქაღალდი ედვანსი 2 ფენა * 242 ცალი	3370000	180	2,50	450,00
3	VP უნიტაზის სადეზინფექციო საშუალება 750 მლ. (2003G006)	3980000	10	5,00	50,00
4	VP შუშისა და სარკის საწმენდი საშუალება 750 მლ. (2003G008)	3980000	10	3,30	33,00
5	ჩირტონი-ჰაერის არომატიზატორი ზღვის*300მლ	3980000	10	2,65	26,50
6	იატაკის ტილო-მ/ფ	3980000	15	7,50	112,50
7	SH-პარკი ნაგვის 35ლ*50ც-WNS-0516	3980000	50	2,00	100,00
					1927,00

"ჰორეკა" * "HORECA" LTD * 204557452